ჰარუკი მურაკამი

კომანდორის მკვლელობა

თარგმნა **თამარ სუბელიანმა**

სულაკაურის
გამომცემლობა

ჰარუკი მურაკამი
კომანდორის მკვლელობა
რომანი

მთარგმნელი **თამარ სუბელიანი**
რედაქტორი **ელენე ბერიაშვილი**
ყდისა და შიგთავსის დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **თინათინ ბერბერაშვილი**

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2021
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-838-3

Haruki Murakami
KISHIDANCHŌ-GOROSHI (KILLING COMMENDATORE)
A Novel

Copyright © 2017 by Haruki Murakami
All rights reserved.

Cover design by Ia Makhatadze
Georgian edition © Sulakauri Publishing, 2021

www.sulakauri.ge

ნაწილი პირველი

იდეის განკაცება

პროლოგი

დღეს, თვლემას რომ თავი წავართვი, წინ უსახო კაცი დამიხვდა. სკამზე იჯდა, იმ დივნის წინ, სადაც მოკალათებულს მეძინა და წარმოსახვითი თვალებით შემომყურებდა.

კაცი მაღალი იყო და ისე ეცვა, როგორც ბოლო შეხვედრისას. სახეზე, რომელიც სახე არ იყო, შავი ფართოფარფლებიანი ქუდი ნახევრად ჰქონდა ჩამოფხატული და გრძელი, ასეთივე მუქი პალტო ემოსა.

*

– აქ იმიტომ მოვედი, რომ ჩემი პორტრეტი დახატო, – უსახო კაცმა მას შემდეგ მითხრა, რაც დარწმუნდა, რომ გამოვფხიზლდი. ხმა დაბალი, გულგრილი და მშრალი ჰქონდა, – პირობა გაქვს მოცემული, დაგხატავო. ხომ გახსოვს?

– დიახ, მახსოვს. მაგრამ ვერ დაგხატავ, ქაღალდი თუ არ მექნა, – ჩემი ხმაც განცდებს მალავდა, – მაშინ ამის მაგივრად პინგვინის პატარა თილისმა დაგიტოვე.

– მახსოვს, მახსოვს. თან წამოვიღე, – თქვა და მარჯვენა ხელი გამომიწოდა.

ხელში, რომელიც უჩვეულოდ გრძელი ჰქონდა, პლასტმასის პატარა პინგვინი ეჭირა. ასეთ ნივთს ავი თვალისგან დასაცავად მობილურის საკიდს გამოაბამენ ხოლმე. კაცმა პატარა პინგვინს ხელი გაუშვა. თილისმა შუშის მაგიდაზე ხმაურით დაეცა.

– ამას გიბრუნებ. შეიძლება გამოგადგეს. ეს პატარა პინგვინი იმათ თილისმად იქცევა, ვინც გიყვარს და ვისაც დაცვა სჭირდება. სანაცვლოდ მინდა ჩემი პორტრეტი დახატო.

ამის გაგონებაზე შევცბუნდი.

– მესმის შენი, მაგრამ რა ვქნა. აქამდე უსახო ადამიანის პორტრეტი არასდროს არ დამიხატავს.

ყელი გამიშრა.

– როგორც მსმენია, პორტრეტების ხატვის განსაკუთრებული ნიჭით ხარ დაჯილდოებული. თან ყველაფერს თავისი დრო აქვს, – მითხრა უსახო კაცმა და გაიცინა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ჩავთვალე. მისი სიცილი მაღაროს სიღრმეში მქროლავი ქარის კივილს ჰგავდა.

კაცმა ქუდი მოიხადა, რომელიც მანამდე ნახევარ სახეს უფარავდა. იქ, სადაც სახე უნდა ჰქონოდა, არაფერი იყო, მხოლოდ და მხოლოდ ნისლის დუნე მორევი ჩანდა.

ავდექი, სახელოსნოდან ესკიზების ალბომი და რბილი ფანქარი გამოვიტანე. ისევ დივანზე ჩამოვჯექი და მოვემზადე უსახო კაცის პორტრეტის შესაქმნელად. წარმოდგენა არ მქონდა, ხატვა როგორ დამეწყო. სახის ნაცვლად ხომ მხოლოდ სიცარიელე ჰქონდა. როგორ უნდა მიმეცა ფორმა იმისთვის, რაც არ არსებობდა? რძისფერი ნისლი, სიცარიელეს რომ ერტყა გარშემო, ფორმას გამუდმებით იცვლიდა.

– ჯობს დააჩქარო, – მითხრა უსახო კაცმა, – აქ დიდხანს ვერ დავრჩები.

გული ნელა მიცემდა. დიდი დრო არ მქონდა. უნდა მეჩქარა. მაგრამ თითები, რომლითაც ფანქარი მეჭირა, ჰაერში გაუნძრევლად ეკიდა. თითქოს მაჯის ქვემოთ მთელი ხელი მომწყვეტოდა. ადამიანები უნდა დამეცვა, მე კი არაფრის ძალა არ შემწევდა, გარდა ხატვისა. და, ამის მიუხედავად, ახლა არაფრით არ შემეძლო ხატვის დაწყება.

იმ ნისლში ჩავაშტერდი.

– ვწუხვარ, მაგრამ შენი დრო გავიდა, – მითხრა უსახო კაცმა ცოტა ხნის შემდეგ. თავისი უჩინარი პირიდან ღრმა ოხვრა ამოუშვა, რაც მდინარის თავზე მკრთალი ნისლის ლივლივს წააგავდა.

– გთხოვ, მაცალო. ცოტა მეტ დროს რომ მომცემდე...

კაცმა შავი ქუდი დაიხურა, სახის ნაწილი ისევ დამალა.

– ერთ დღესაც ისევ გესტუმრები. იქნებ მაშინ შეძლო ჩემი დახატვა. მანამდე კი ამ პინგვინის თილისმას დავიტოვებ.

*

და გაუჩინარდა. როგორც ბურუსს განდევნის უეცრად მობერილი გამახალისებელი სიო, ისიც ისე გაიფანტა ჰაერში. დარჩა მხოლოდ თავისუფალი სკამი და შუშის მაგიდა. პინგვინის ავგაროზი მაგიდაზე აღარ იდო.

ეს ყველაფერი მოკლე სიზმარს ჰგავდა. მაგრამ კარგად ვიცოდი, რომ ასე არ იყო. ეს თუ სიზმარი იყო, მაშინ ის სამყარო, რომელშიც ვცხოვრობ, მთლიანად სიზმარი უნდა ყოფილიყო.

*

იქნებ ოდესმე შევძლო და არარას პორტრეტი დავხატო. იმ სხვა მხატვარივით, რომელმაც „კომანდორის მკვლელობა“ შექმნა. მაგრამ ამისთვის დრო დამჭირდება. დრომ კი ხელი უნდა შემიწყოს.

1
თუ ზედაპირი დაბურულია

მაისიდან მომდევნო წლის დასაწყისამდე იმ მთის წვერზე ვიცხოვრე, რომელიც ვიწრო ხეობის შესასვლელთან ახლოსაა. ზაფხულობით ხეობის სიღრმეში გაუთავებლად წვიმდა, თუმცა ხეობის გამოღმა უმეტესად მზე ანათებდა, რაც ოკეანიდან მობერილი სამხრეთ-დასავლეთის ქარით იყო გამოწვეული. საავდრო ღრუბლებს ქარი ხეობაში ერეკებოდა და ფერდობებს შორის გზის გაკვალვისას წვიმაც იწყებოდა. სახლი ზედ გამყოფ ხაზზე იდგა, ამიტომ ხშირად წინ თუ მზე ჩახჩახებდა, სახლის უკან თავსხმა წვიმა იყო. თავიდან ამინდის ამგვარი გაორება მაბნევდა, მაგრამ თანდათან იქაურობას გავუშინაურდი და უჩვეულოდ არაფერი აღარ მეჩვენებოდა.

მთებს იალტიალი ჰქონდა შემორტყმული. ქარაშოტი რომ ამოვარდებოდა, ღრუბლის ეს ქულები წარსულის მოხეტიალე აჩრდილებივით მთების გარშემო უმიზნოდ იწყებდნენ ფარფატს, თითქოს მიძინებულ მოგონებებს იხსენებენო. ქარბუქი თეთრი წვიმის თქეშს თოვლის ნამქერივით ატრიალებდა. და რადგან ქარი იშვიათად ჩადგებოდა ხოლმე, ზაფხულში ჰაერის კონდიციონერის გარეშეც იოლად გავიტანე თავი.

პატარა და ძველ სახლს უკანა მხრიდან ფართო ბაღი ერტყა. რადგან არავინ უვლიდა, იქაურობა მაღალ-მაღალ ბალახბულახს დაეფარა და კატების ოჯახს თავშესაფრად ექცია. როდესაც მებაღე მოვიდა ბალახის მოსათიბად, კატების ოჯახი სადღაც გაიხიზნა. ალბათ, სააშკარაოზე იგრძნეს თავი. ოჯახში ზოლიანი დედა კატა და სამი კნუტი იყვნენ. დედა კატა გალეული და ისეთი პირმკაცრი იყო, თითქოს მძიმე ცხოვრება გამოევლო.

სახლი მთის წვერზე იდგა და, აივანზე გასული, სამხრეთით, ტყეებს შორის, ოკეანეს ვხედავდი. აქედან ოკეანე ხელსაბანი თასისოდენა, უზარმაზარი წყნარი ოკეანის ერთი ციდა ჩამონათალად მოჩანდა. ნაცნობმა უძრავი ქონების აგენტმა მითხრა, რომ თუ სახლიდან ოკეანის

ნაწილი ისე მოჩანს, როგორც იქიდან, ესეც კი მიწის ფასს რადიკალურად ცვლის. აი, მე კი ოკეანის ხედის დარდი არ მქონდა. ერთი მისხალი სილურჯე გახვრეტილ გროშად არ მიღირდა. სხვებისთვის რატომ იყო ამდენად მნიშვნელოვანი ხედი ოკეანეზე, ჩემთვის გამოცანად რჩებოდა. ბევრად მერჩივნა, გარშემორტყმული მთებისთვის მეცქირა. ხეობის გარშემო მთები მუდმივად იცვლებოდა, გარდაიქმნებოდა სეზონებისა და ამინდის მიხედვით. ამ გარდასახვებზე თვალის დევნება არასდროს მბეზრდებოდა.

*

იმ დროს ცოლთან გაშორებული ვიყავი, განქორწინების საბუთები ხელმოწერილი და დამტკიცებული იყო, მაგრამ მოგვიანებით მომხდარმა მოვლენებმა გვიბიძგა იმისკენ, რომ კიდევ ერთხელ გვეცადა თანაცხოვრება.

ამის ახსნა არ გამომივა. მიზეზისა თუ შედეგის დადგენა, რა როგორ მოხდა, რას რა მოჰყვა, რამ რა გამოიწვია, ჩვენც კი გაგვიჭირდება, ვინც ეს ამბავი საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ, მაგრამ მაინც თუ საჭირო გახდება მომხდარის ერთი-ორი სიტყვით შეფასება, მომიწევს ისეთი ბანალური ფრაზის გამოყენება, როგორიცაა „ერთმანეთს ვერ ავცდით“. თუმცა, ის ცხრათვიანი ნაპრალი ჩვენს მეორე ქორწინებამდე (სხვაგვარად რომ ვთქვათ, პერიოდი პირველი ქორწინების შეწყვეტიდან მეორე ქორწინების დაწყებამდე) იმ პირივით იყო დაღებული, რომლიდანაც ხორხი მოჩანს.

ცხრა თვე – ვერც კი ვხვდებოდი, ეს დრო განშორებისთვის ხანმოკლე იყო თუ ხანგრძლივი. ზოგჯერ, უკან რომ მივიხედავ, მეჩვენება, რომ ეს დრო უსასრულოდ გაგრძელდა, მაგრამ თან თითქოს ელვის სისწრაფით გაირბინა. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, რას როგორ შევხედავდი. ზოგჯერ, როდესაც ადამიანები რამეს ფოტოს უღებენ, მის გვერდით სიგარეტის კოლოფს დადებენ ხოლმე, რომ მნახველს საგნის ზომაზე წარმოდგენა შეუქმნან, მაგრამ სიგარეტის კოლოფის ზომა ჩემს მეხსიერებაში არსებულ ხატებთან შედარებით ხან იზრდებოდა, ხან მცირდებოდა. ეს კი იმჟამინდელ განწყობაზე იყო დამოკიდებული. როგორც მუდმივ დინებაში მყოფი საგნები თუ მოვლენები, ან პირიქით, მუდმივად დინებას შეჭიდებულნი, ისიც, რაც საზომ ქვად უნდა ქცეულიყო ჩემს მეხსიერებაში, სამარადისო მოძრაობაში იყო.

განა ჩემი მოგონებები შემთხვევითი გახლდათ, ან მათი მნიშვნელობა

სურვილის მიხედვით იცვლებოდა?! ცხოვრება მეტწილად აუღელვებლად მიედინებოდა თავის კალაპოტში, რასაც ვერ ვიტყვი იმ პერიოდზე, ცოლს რომ ვიყავი დაშორებული, რადგან ის ხანა ჩემი არსებობის არცერთ სხვა დროს არ ჰგავდა. თითქოს მანამდე წყნარი ზღვის შუაგულში მივცურავდი და უეცრად იმ იდუმალ მორევში მოვყევი, რომელიც არსაიდან გაჩნდა.

უკან რომ ვიხედები (როგორც ხვდებით, ეს ისტორია რამდენიმე წლის წინ ხდებოდა), ზოგჯერ კავშირი მოვლენებს შორის იშლება, და საკმარისია, წამით მოვადუნო ყურადღება, რომ მაშინვე ირღვევა იმ ამბების თანამიმდევრობა, რომლებიც თითქოს ჩემს გონებაში წამით ადრე დალაგდა. ამის მიუხედავად, მინდა შეუძლებელი შევძლო და თავგადასავალი ლოგიკურად და თანამიმდევრულად გადმოგცეთ. თუნდაც მთელი ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდეს, მაინც მინდა, რომ ყველგან ის საზომი ქვა გამოვიყენო, რომლის პოვნაც შევძელი. დაე, იმ წყალწაღებულს დავემსგავსო, ზედაპირზე მოტივტივე ნაფოტს რომ ებღაუჭება.

*

როგორც კი იმ სახლში საცხოვრებლად გადავედი, მაშინვე ერთი ძველი მანქანა ვიყიდე იაფად. მანამდე რაც მყავდა, ბოლო მოეღო და ჯართში ჩავაბარე. სხვა გზა არც მქონდა – რამე უნდა შემეძინა. გარეუბანში, მით უმეტეს, თუ მთის წვერზე განმარტოებით აპირებ ცხოვრებას, აუცილებლად დაგჭირდება მანქანა, რომ დროდადრო საყიდლებზე იარო. ოდავარას გარეუბანში მდებარე „ტოიოტას“ ცენტრს მივაკითხე და „კოროლას“ მარკის მსუბუქი მანქანა კარგ ფასად ვიშოვე. გამყიდველმა მტრედისფერი უწოდა, თუმცა ავადმყოფის გაფითრებული პირისახის ფერს უფრო ჰგავდა. მხოლოდ ოცდათხუთმეტი ათასი კილომეტრი ჰქონდა გავლილი, მაგრამ ერთხელ ავარიაში მოხვდა, ამიტომ საწყისი ფასი საგრძნობლად იყო დაცემული. გამოსაცდელად გავატარე. მუხრუჭებს და ბორბლებს ვერაფერს დაუწუნებდი. რადგან მთავარ გზატკეცილზე ხშირად სიარულს არ ვაპირებდი, ვიფიქრე, რომ გამომადგებოდა.

სახლი მასაიკო ამადამ მომაქირავა. მას ხელოვნების სკოლიდან ვიცნობდი – იქ ერთად ვსწავლობდით. ჩემზე ორი წლით უფროსი იყო და ადამიანთა იმ იშვიათ ჯგუფს განეკუთვნებოდა, ვისაც კარგად ვეწყობოდი. ამიტომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ არ დავკარგე

და დროდადრო ვნახულობდით ერთმანეთს. მასაიკომ სწავლის დასრულების შემდეგ მხატვრობაზე უარი თქვა და სარეკლამო სააგენტოში გრაფიკოს დიზაინერად დაიწყო მუშაობა. როდესაც შეიტყო, რომ ცოლს გავშორდი და სახლიდან წამოვედი, დასარჩენი კი არსად მქონდა, მითხრა, რომ მამამისის ძველი სახლი ცარიელი იყო და შემომთავაზა, იქ მეცხოვრა, თან ეზო-კარისთვის მომევლო. მამამისი, ტომოიკო ამადა, ცნობილი იაპონელი მხატვარი გახლდათ. ჩემი მეგობრის მამის სახლი (რომელსაც სამხატვრო სახელოსნოც ჰქონდა) ოდავარას გარეთ, მთებში იყო აშენებული. ცოლის გარდაცვალების შემდეგ, დაახლოებით ათი წლის განმავლობაში, მხატვარს იქ თავისთვის მყუდროდ უცხოვრია. იმხანად მისთვის დემენციის დიაგნოზი დაესვათ და იძუ კოგენთან ახლოს მდებარე კერძო სამკურნალო დაწესებულებაში ჰყავდათ მოთავსებული. ასე რომ, სახლში ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში არავინ ცხოვრობდა.

– სახლი თავისთვის დგას მთის წვერზე. მოსახერხებელი ადგილმდებარეობა არ აქვს, მაგრამ წყნარი ადგილია. ამის გარანტია შემიძლია მოგცე, – მითხრა მასაიკომ, – ხატვისთვის იდეალური გარემოა. ხელს არაფერი შეგიშლის.

მეგობარმა ნომინალური ქირა შემომთავაზა.

– სახლი ცარიელი თუ იქნება, სულ მოირღვევა. ვღელავ, ან ხანძარი არ გაჩნდეს, ან კარი არ გატეხონ. ვინმე თუ იცხოვრებს, აღარ ვიდარდებ. ვიცი, თავს უხერხულად გაგრძნობინებ, თუ არაფერს გადაგახდევინებ, ამიტომ დაბალ ქირას გთავაზობ, ოღონდ ერთი პირობით: შეიძლება სწრაფად მოგთხოვო იქაურობის დაცლა.

მაწყობდა, რასაც მთავაზობდა. ყველაფერი, რაც კი მებადა, მსუბუქი მანქანის საბარგულში ეტეოდა, და თუ მასაიკო სახლის დაცლას მომთხოვდა, მეორე დღესვე შევძლებდი იქაურობის დატოვებას.

მაისის დასაწყისში, ოქროს კვირის დასრულებისთანავე გადავედი. სახლი ერთსართულიანი იყო, დასავლური სტილის მყუდრო კოტეჯს წააგავდა, მაგრამ ერთი ადამიანისთვის ნამდვილად დიდი ჩანდა. საშუალო სიმაღლის მთის წვერზე იდგა, ტყეებით იყო გარშემორტყმული და თვითონ მასაიკომაც არ იცოდა, სად გადიოდა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრები. უკანა ეზოში მაღალ-მაღალი მსხვილტოტებიანი ფიჭვის ხეები იდგა. აქა-იქ ბრტყელი ქვები ელაგა